**თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს**

**2014 წლის 5 ნოემბრის სხდომის ოქმი #13**

**სხდომას ესწრებოდნენ:** ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 19, სტუდენტები – 7, სულ – 26 წევრი.

**დღის წესრიგი**

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ.

*/ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/*

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისათვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

*/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/*

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ.

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/*

4. მიმიდინარე საკითხები.

**მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ.

*/ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/*

*მომხსენებელმა ბატონმა თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ახალი კანდიდატურა - ასოც. პროფ. მარინე ნაცვალაძე. მან აღნიშნა, რომ ასოც. პროფ. მ.ნაცვალაძე ადრეც წარმატებით ასრულებდა ფაკულტეტის სწავლული მდივნის მოვალეობას და იმედი გამოთქვა, რომ ფაკულტეტის საბჭო ამჯერადაც მხარს დაუჭერს მის კანდიდატურას.*

**აზრი გამოთქვეს:** პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. მ ტუხაშვილმა.

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 26;**

**წინააღმდეგი – 0.**

**დაადგინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სწავლულ მდივნად აირჩეულ იქნას ასოც. პროფ. მ. ნაცვალაძე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების – ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებს თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენს შესახებ გადაწყვეტილება.

**მოისმინეს:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2001, 2006 და 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების – ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ;

*/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/*

მომხსენებელმა ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მოასხსენა, რომ უნივერსიტეტს განცხადებით მომართა ეკონომიისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა:

1. ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკისა ფაკულტეტის 2001 წლის კურსდამთავრებულმა ***აკაკი ჩანტლაძემ*** დიპლომის დაკარგვის გამო;

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვის სპციალობის კურსდამთავრებულებმა ***მაკა ნათაძემ*** და ***ქეთევან მღებრიშვილმა***;

3. 2008 წლის კურსდამთავრებულებმა დიპლომების შეცვლის თაობაზე:

- შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულმა ***ნინო კაკულიამ***;
- კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის კურსდამთავრებულმა ***კონსტანტინე კალანდარიშვილმა;***
- ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის კურსდამთავრებულმა ***სალომე კაჭარავამ***.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომები, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24

მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ, ზემოაღნიშნული ბრძანების შემდეგ გახდა სავალდებულო დიპლომის ფორმაში აღნიშნული რეკვიზიტების მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე სავალდებულოა დიპლომში მისათითებელი, სავალდებულო რეკვიზიტების დადასტურება ან/და აღდგენა.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დადგინდა შემდეგი:

1. **აკაკი ჩანტლაძე** 1996 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების *ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის* სპეციალობაზე (ბრძანება №4/615, 6.08.1996). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წინაშე სადიპლომო ნაშრომების დაცვისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის (ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი) დღის განყოფილების კურსდამთავრებულს, აკაკი ჩანტლაძეს მიენიჭა ბიზნესი ადმინისტრატორის კვალიფიკაცია და ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კვების მრეწველობის სპეციალობით (მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კვების მრეწველობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2, 12-13.06.2001 წ.; თსუ რექტორის ბრძანება №4/731, 27.07.2001 წ.).
2. ***მაკა ნათაძე*** და ***ქეთევან მღებრიშვილი*** 2002 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების *საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის* სპეციალობაზე (ბრძანება №4/970, 2.08.2002). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად მაკა ნათაძემ და ქეთევან მღებრიშვილმა აითვისა 258-258 კრედიტი. თსუ რექტორის 2007 წლის 31 იანვრის №34/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულებს მაკა ნათაძეს და ქეთევან მღებრიშვილს მიენიჭათ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მენეჯერის კვალიფიკაციით (თსუ რექტორის ბრძანება №34/01-04, 31.01.2007 – საფუძველი: ფაკულტეტის დეკანის წარდგინება, ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება (ოქმო №3)).

ვინაიდან, მაკა ნათაძის და ქეთევან მღებრიშვილის სახელზე გაცემული დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას, ამიტომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 29 აგვისტოს სხდომაზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დააყენა საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის კურსდამთავრებულთათვის თსუ რექტორის 2007 წლის 31 იანვრის №34/01-04 ბრძანებით მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ. ფაკულტეტის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბაკალავრო პროგრამის „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვა“ სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის*** ნაცვლად, მიენიჭოთ ***ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი*** (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №9, 29.08.2013).

3. ***ნინო კაკულია*** 2004 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, საბიუჯეტო სწავლების ფორმაზე, შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის სპეციალობით (ბრძანება №4/929, 2.08.2004). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 247 კრედიტი. თსუ რექტორის 2009 წლის 15 იანვრის №37/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ ნინო კაკულიას მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით (თსუ რექტორის ბრძანება №37/01-04, 15.01.2009 – საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №24224/02, 09.12.2008).

   ვინაიდან, ნინო კაკულიასთვის მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას, ამიტომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოზე განიხილება თსუ რექტორის №34/01-04, 15.01.2009 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ნინო კაკულია) მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ.

4. ***კონსტანტინე კალანდარიშვილი*** 2004 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის, საბიუჯეტო დასწრებული სწავლების ფორმაზე კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობით (ბრძანება №4/929, 2.09.2004). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 244 კრედიტი. თსუ რექტორის 2009 წლის 25 თებერვლის №275/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ კონსტანტინე კალანდარიშვილის მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ხარისხის მენეჯერის კვალიფიკაციით (თსუ რექტორის ბრძანება №275/01-04, 25.02.2009 –

საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის წარდგინებები №2216/02, 17.02.2009 და №2173/02, 16.02.20009).

კონსტანტინე კალანდარიშვილისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას. აქედან გამომდინარე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭომ 2014 წლის 27 თებერვლის სხდომაზე განიხილა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავებულთათვის თსუ რექტორის 2009 წლის 25 თებერვლის №275/01-04 ბრძანებით მინიჭებული ხარისხის კორექტირება და დაადგინა, რომ კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის კურსდამთავრებულ კონსტანტინე კალანდარიშვილს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ხარისხის მენეჯერის კვალიფიკაცია) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №3, 27.02.2014).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის 2014 წლის 28 თებერვლის №260/29-01 (№7345/02, 28.02.2014) წარდგინებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 27 თებერვლის №3 გადაწყვეტილების საფუძველზე შეტანილი იქნდა ცვლილება „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის 2009 წლის 25 თებერვლის №275/01-04 ბრძანებაში „კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში“ სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულთა სიაში მითითებულ კონსტანტინე კალანდარიშვილის ნაწილში, არასწორად მინიჭებული აკადემიური ხარისხის გამო და ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიეთითოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (თსუ რექტორის ბრძანება №427/01-04, 04.03.2014).

5. ***სალომე კაჭარავა*** 2004 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო ფორმაზე ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობით (ბრძანება №4/963, 27.08.2004 წ.). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 242 კრედიტი. თსუ რექტორის 2009 წლის 21 აპრილის №832/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ სალომე კაჭარავს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაციით (თსუ რექტორის ბრძანება №832/01-04, 21.04.2009 წ. – საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოაველობის შემსრულებლის წარდგინება №67320/02, 27.03.20009).

სალომე კაჭარავასთვის მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭომ 2013 წლის 27 სექტემბრის სხდომაზე განიხილა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავებულთათვის თსუ რექტორის 2009 წლის 21 აპრილის №832/01-04 ბრძანებით მინიჭებული ხარისხის კორექტირება და დაადგინა, რომ ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაცია) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოთ ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №10, 27.09.2013).

დიპლომის ფორისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დადგინდა, რომ 2001 წელს ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წინაშე სადიპლომი ნაშრომების დაცვისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე დგებოდა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი, რის შემდეგაც გამოიცემოდა თსუ რექტორის ბრძანება ხარისხის მინიჭების შესახებ; 2006 და 2008 წელს აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდებოდა ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების (ოქმის) შესაბამისად, რის საფუძველზეც მზადდებოდა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება. წარდგინების საფუძველზე გამოიცემოდა თსუ რექტორის ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ.

პირადი საქმეები არსებული დოკუმენტაციით დასტურდება აღნიშნულ ბრძანებებში მითითებულ კურსდამთავრებულების სწავლის ფაქტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობებზე. მათ მიენიჭათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მათ სახელზე გაიცა ბაკალავრის დიპლომები, რაც დასტურდება დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალით.

1. ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2 დათარიღებულია 2001 წლის 12 და 13 ივნისის რიცხვებით. სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილების თარიღის დაზუსტება. დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალიდან ამონაწერში კომისიის თარიღად მითითებულია 2001 წლის 13 ივნისი. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კვების მრეწველობაში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2-ის თარიღად განისაზღვროს 2001 წლის 13 ივნისი.
2. თსუ რექტორის 2007 წლის 31 იანვრის №34/01-04 ბრძანების საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის 24 ოქტომბრის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების (ოქმი №3) საფუძველზე მაკა ნათაძესთან და ქეთევან მღებრიშვილთან ერთად 2006 წლის სხვადასხვა სპეციალობების კურსდამთავრებულებს მიენიჭათ:
   - ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით დასწრებული სწავლების
     - ვაჭრობის ეკონომიკისა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 23 კურსდამთავრებულს ეკონომისტის კვალიფიკაციით;
     - ეკონომიკური კიბერნეტიკის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 13

კურსდამთავრებულს ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით;

- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ დასწრებული სწავლების:
  - ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 29 კურსდამთავრებულს ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაციით;
  - სასტუმრო და ტურისტული ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 7 კურსდამთავრებულს ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაციით;
  - მატერიალური რესურსების მართვის და საბირჟო საქმის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 36 კურსდამთავრებულს მატერიალური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით;
  - მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 17 კურსდამთავრებულს მარკეტოლოგის კვალიფიკაციით;
  - სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 24 კურსდამთავრებულს მარკეტოლოგის კვალიფიკაციით;
  - სასურსათო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 18 კურსდამთავრებულს მარკეტოლოგის კვალიფიკაციით;
  - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 56 კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით;
  - ეკონომიკური ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 20 კურსდამთავრებულს ეკონომიკური საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით;
  - სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 29 კურსდამთავრებულს სახელმწიფო მართვის მოხელის კვალიფიკაციით;
  - ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 14 კურსდამთავრებულს ჯანდაცვის მენეჯერის კვალიფიკაციით;
  - მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 11 კურსდამთავრებულს წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით;
  - პერსონალის მართვის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 9 კურსდამთავრებულს ადამიანური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით;
  - საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 31 კურსდამთავრებულს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მენეჯერის კვალიფიკაციით;
  - მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 23 კურსდამთავრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით;
  - საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 32 კურსდამთავრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით;
  - საბაჟო-საგადასახადო საქმის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 26 კურსდამთავრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით;

- საერთაშორისო ბიზნესის და საგარეო ვაჭრობის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 34 კურსდამთავრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით;
- სამრეწველო პროდუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 20 კურსდამთავრებულს ხარისხის მენეჯერის კვალიფიკაციით;
- კვების პროდუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 31 კურსდამთავრებულს ხარისხის მენეჯერის კვალიფიკაციით;
- ინფორმატიკა ბიზნესში საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 72 კურსდამთავრებულს ინფორმატიკოს-ბიზნესმენის კვალიფიკაციით;

➢ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ დაუსწრებული სწავლების:

- სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 2 კურსდამთავრებულს სახელმწიფო მართვის მოხელის კვალიფიკაციით;
- საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 3 კურსდამთავრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით;
- საბაჟო-საგადასახადო საქმის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 1 კურსდამთავრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით;
- საერთაშორისო ბიზნესის და საგარეო ვაჭრობის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 1 კურსდამთავრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით;
- მედიცინის, კურორტების, ტურიზმისა და სამედიცინო დაზღვევის ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) 2 კურსდამთავრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით.

ვინაიდან, არ იძებნება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2006 წლის 24 ოქტომბრის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ სტუდენტების სახელზე გასაცემი დიპლომის ახალ ფორმაში მისათითებელი რეკვიზიტები, მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. თსუ სასწავლო დეპარტამენტთან და იურიდიულ დეპარტამენთან კონსულტაციებიდან გამომდინარე ამ გადაწყვეტილებათა თარიღად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ რექტორის ბრძანებების (№37/01-04, 15.01.2009; №275/01-04, 25.02.2009; №832/01-04, 21.04.2009) საფუძველიაფაკულტეტის დეკანის წარდგინებები. კერძოდ:

✓ თსუ რექტორის 2009 წლის 15 იანვრის №37/01-04 ბრძანების საფუძველია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის

წარდგინება (№24224/02, 09.12.20008). ფაკულტეტზე არსებობს აღნიშნული წარდგინების ელექტრონული ვერსია. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების შესაბამისად შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის სპეციალობის 2008 წლის 16 კურსმოსმენილს მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით *(იხ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის ბრძანება №37/01-04, 15.01.2009).*

- ✓ თსუ რექტორის 2009 წლის 25 თებერვლის №275/01-04 ბრძანების საფუძველის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის წარდგინებები (№2216/02, 17.02.2009 და №2173/02, 16.02.2009), რომლებიც ფაკულტეტზე ინახე ელექტრონული ვერსიის სახით. ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების შესაბამისად: 1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ კონსტანტინე კალანდარიშვილს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრიების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ხარისხის მენეჯერის კვალიფიკაციით და 2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტის სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულებს თამარ ავალიანს და ნათია ინგოროყვას მიენიჭათ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით *(იხ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის ბრძანება №275/01-04, 25.02.2009 წ.).*
- ✓ თსუ რექტორის 2009 წლის 21 აპრილის №832/01-04 ბრძანების საფუძველია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოავლეობის შემსრულებლის წარდგინება №6730/02, 27.03.2009, რომლის ელექტრონული ვერსიაც ინახება ფაკულტეტზე. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების შესაბამისად მიენიჭათ:
  - ❖ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის 25 კურსდამთავრებულს ხარისხის მენეჯერის კვალიფიკაციით; მარკეტინგის სპეციალობის 25 კურსდამთავრებულს მარკეტოლოგის კვალიფიკაციით, ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის 47 კურსდამთავრებულს ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაციით, მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის პეციალობის 2 კურსდამთავრებულს წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით
  - ❖ ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობის 1 კურსდამთავრებულს ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით.

    *(იხ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის ბრძანება №832/01-04, 21.04.2009 წ.).*

ფაკულტეტზე არსებული წარდგინებების ელექტრონული ვერსიებიდან ირკვევა, რომ 2008 წელს, ფაკულტეტზე მოწვეული ოყო ორი საატესტაციო კომისია. 2008

წლის 14 აპრილს და 2008 წლის 30 ივნისს. ამჟამად, არ იძებნება 2008 წლის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის მიერ წარმოებული ოქმები. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს თსუ რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებების გამოცემის თარიღები, ხოლო ნომრად ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ".

**აზრი გამოთქვეს:** პროფ. ნ თოდუამ, პროფ. ქ მარშავამ.

**გაიმართა კენჭისყრა**
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26
წინააღმდეგი - 0

**დაადგინეს:**

1. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის 2001 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ***აკაკი ჩანტლაძე***) ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია:
   - მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კვების მრეწველობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2-ის ნომერი დარჩეს უცვლელი და თარიღად განისაზღვროს 2001 წლის 13 ივნისი.
   - ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კვების მრეწველობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კვების მრეწველობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2, 12-13.06.2001 წ.).*

2. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ***მაკა ნათაძე, ქეთევან მღებრიშვილი***) ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია:
   - თსუ რექტორის 2007 წლის 31 იანვრის №34/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. მაკა ნათაძე, ქეთევან მღებრიშვილი) აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვრს ***2007 წლის 31 იანვარი*** და ოქმის ნომრად ***№34/პ***.

- ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს თსუ რექტორის 2007 წლის 31 იანვრის №34/01-04 ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. თსუ რექტორის ბრძანება „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ - №34/01-04, 31.07.2007 წ.).*

3. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ***ნინო კაკულია, კონსტანტინე კალანდარიშვილი, სალომე კაჭარავა***) ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია:

- თსუ რექტორის 2009 წლის 15 იანვრის №37/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ნინო კაკულია) აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვრს ***2009 წლის 15 იანვარი***და ოქმის ნომრად ***№37/ბ***.
- თსუ რექტორის 2009 წლის 25 თებერვლის №275/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. კონსტანტინე კალანდარიშვილი) აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვრს ***2009 წლის 25 თებერვალი***და ოქმის ნომრად ***№275/ბ***.
- თსუ რექტორის 2009 წლის 21 აპრილის №832/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. სალომე კაჭარავა) აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვრს ***2009 წლის 21 აპრილი***და ოქმის ნომრად ***№832/ბ***.
- ზემოაღნიშნული პირობები გავრცელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის №37/01-04, 15.01.2009; №275/01-04, 25.02.2009 და №832/01-04, 21.04.2009 ბრძანებებში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. თსუ რექტორის ბრძანებები „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ - №37/01-04, 15.02.2009 წ.; №275/01-04, 25.02.2009 წ.; №832/01-04, 21.04.2009 წ.).*

**მოისმინეს:** ყოფილი თბილისის ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტის (თეუსუ) 2007 წლის კურსდამთავრებულ ***ლაშა თავართქილაძის*** დიპლომის დანართისთვის შეფასებების აღდგენის შესახებ.

*/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/*

ქ-მა მ. ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს განცხადებით მიმართა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულის ***ლაშა თავართქილაძემ*** დიპლომის დანართის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლაშა თავართქილაძის სახელზე უნდა გაიცეს დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ, ზემოაღნიშნული ბრძანების შემდეგ გახდა სავალდებულო დიპლომის ფორმაში აღნიშნული რეკვიზიტების მითითება. აქედან გამომდინარე, „დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის შესახებ“ თსუ რექტორის 2014 წლის 16 პარილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე სავალდებულოა დიპლომში მისათითებელი, სავალდებულო რეკვიზიტების დადასტურება ან/და აღდგენა.

ქ-მა მ. ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, ლაშა თავართქილაძე 2003-2004 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების ჩაბარების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში საბიუჯეტო სწავლებაზე სპეციალობით „საკურორტო-სასტუმრო კომპლექსებისა და საერთაშორისო ტურიზმის კომერცია და მარკეტინგი“ (ბრძანება №04-02/03-29, 26.07.2003 წ.).

2006 წელს პირადი განცხადების საფუძველზე საკურორტო-სასტუმრო კომპლექსებისა და საერთაშორისო ტურიზმის კომერცია და მარკეტინგის სპეცილიზაციის საბიუჯეტო სწავლების IV[507] ჯგუფის სტუდენტი ლაშა თავართქილაძე გადაყვანილ იქნა დისტანციურ-საკონსულტაციო სწავლების ამავე სპეციალიზაციის IV[507დ] ჯგუფში (ბრძანება №01-38/56, 03.10.2006 წ.)

საკვალიფიკაციო-სააატესტაციო საგამოცდო კომისიის 2008 წლის 11 იანვრის დასკვნითი ოქმი №23-ის საფუძველზე მიენიჭა ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა თეუსუ-ს დამთავრების ბაკალავრის დიპლომი ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ბიზნესისა და მართვის სპეციალობის საკურორტო-სასტუმრო კომპლექსებისა და საერთაშორისო ტურიზმის კომერცია და მარკეტინგის სპეციალიზაციის დისტანციურ-საკონონსულტაციო სწავლების კურსდამთავრებულ ლაშა თავართქილაძეს (ბრძანება №01-13/05, 22.01.2008 წ. – საფუძველი: დასკვნითი ოქმი №23, 11.01.2008 წ.)

ლაშა თავართქილაძის პირად საქმეში და უწყისებში არ იძებნება მეოთხე კურსის მეორე სემესტრში და წინასადიპლომო პრაქტიკის დაცვის შეფასებები. აღნიშნული ფაქტი გამოწვეულია გარკვეული მიზეზებით, კერძოდ, ფაკულტეტზე არსებული უწყისების ნაწილი არქივში გადაცემული არ არის და არც დამატებითი მოკვლევით არ იძებნება. ლაშა თავართქილაძისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების ავთენტურობის დამადასტურებელი ფაქტებია:

- ✓ თეუსუ-ს დებულების თანახმად სტუდენტი საატესტაციო-საკვალიფიკაციო გამოცდებზე დეკანის ბრძანებით დაიშვებოდა მხოლოდ სასწავლო გეგმით გათვალისინებული კრედიტების ათვისების შემდეგ;
- ✓ დამატებითი მოკვლევით მოძიებული საატესტაციო-საკვალიფიკაციო გამოცდების უწყისები;
- ✓ საატესტაციო-საკვალიფიკაციო გამოცდების დასკვნითი სხდომის ოქმი (№23, 11.01.2008);
- ✓ რექტორის ბრძანება ბიზნესის და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე (№01-13/05, 22.01.2008);
- ✓ ლაშა თავართქილაძის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომი TEU-B №001759.

თსუ იურიდიულ დეპარტამენთან კონსულტაციების საფუძველზე გადაწყდა, რომ ლაშა თავართქილაძის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია იძლევა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ შესაძლებლობას. უნივერსიტეტისათვის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა ლაშა თავართქილაძის მეოთხე კურსის მეორე სემესტრის და წინასადიპლომი პრაქტიკის დაცვის შეფასებების არ არსებობა. აღნიშნული საკითხი არ შეიძლება წარმოადგენდეს პირის უფლების შეზღუდვის საფუძველს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვექნება საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით აღიარებული და დაცული იურიდიული ინტერესის ხელყოფა.

კომისიის წინაშე მომხსენებელი შემოვიდა ორი წინადადებით: ლაშა თავართქილაძის შეფასებები აღდგეს 1. მინიმალური ქულებით და 2. სხვა შეფასებების საშუალო არითმეტიკულით.

**აზრი გამოთქვეს:** ქ. მარშავამ, ა. ჩუთლაშვილმა, თ. შენგელიამ

**გაიმართა კენჭისყრა**
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26
წინააღმდეგი - 0

**დაადგინეს:** შეფასებები აღდგეს მინიმალური ქულებით კურსდამთავრებულთან შეთანხმებით. კერძოდ, გაიცეს ლაშა თავართქილაძის სახელზე დიპლომის დანართი და მეოთხე კურსის მეორე სემესტრში და წინასადიპლომი პრაქტიკის დაცვის შეფასებებში აისახოს მინიმალური შეფასება.

**მოისმინეს:** თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტის ცოტნე ჩიქობავას განცხადების (#6719/29, 6.10.2010) სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ.
*/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსიმ. ლობჟანიძე/*

ქ–მა მ. ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის სამეცნიერო საჭოს გადაწყვეტილების (ოქმი #8, 19.11.2010) შესაბამისად ფაკულტეტის პერსონალს განესაზღვრათ შეღავათი სწავლის საფასურის 50% ოდენობით. მ. ლობჟანიძემ საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი, როგორც ფაკულტეტის პერსონალ–დოქტორანტს, აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, 2014–2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ცოტნე ჩიქობავას სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%–ით, 1125 ლარის ოდენობით.

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26

წინააღმდეგი – 0

**დაადგინეს:** ფაკულტეტის პერსონალ–დოქტორანტს, აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, 2014–2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ცოტნე ჩიქობავას სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%–ით, 1125 ლარის ოდენობით.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე _____ თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი _____ მ. ნაცვალაძე